



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და საქართველოში

Jean Monnet project

Erasmus+, Caucasus University

ევროკავშირის სამართლებრივი სახე LFEU

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

თამარ ქალდანი/Tamar Kaldani


18 მაისი/May 2021

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

მე-8 მუხლი

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.



1981 წლის კონვენცია პერსონალური
მონაცემების ავტომატური გზით
დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის
შესახებ



ერთადერთი სავალდებულო
ძალის მქონე საერთაშორისო
აქტი

55 ხელმომწერი 47
ევროსაბჭოს ქვეყანას +
არგენტინა, ბურკინა-ფასო,
კაბუ-ვერდე, მავრიტანია,
მექსიკა, მოროკო, სენეგალი,
ტუნისი, ურუგვაი.

CONVENTION 108 ON DATA PROTECTION



#convention108
#40yearsofdataprotection
www.coe.int/dataprotection

კონვენციის გავრცელების სფერო

არ ვრცელდება მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებით
მონაცემთა დამუშავებაზე

ვრცელდება ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე არა-ავტომატური
საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ მონაცემები ძეგნადი და ხელმისაწვდომი
კონკრეტული კრიტერიუმებით

სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, დანაშაულის გამოძიების, სისხლის
სამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების, გამოხატვის თავისუფლების, საჯარო
ინტერესების სფეროში შემავალი სხვა ამოცანებისთვის კანონით და პროპორციული
მოცულობით გამონაკლისები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ კონკრეტულ მუხლებზე - მაგ:
პრინციპები, სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება და სხვა უფლებები, უსაფრთხოების
ინციდენტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია


Article 7- Respect for private and family life

Everyone has the right to respect for his or her private and family life, home and communications.

Article 8 - Protection of personal data

1. Everyone has the right to the protection of personal data concerning him or her.
2. Such data must be processed fairly for specified purposes and on the basis of the consent of the person concerned or some other legitimate basis laid down by law. Everyone has the right of access to data which has been collected concerning him or her, and the right to have it rectified.
3. Compliance with these rules shall be subject to control by an independent authority.


CHARTER OF
FUNDAMENTAL
RIGHTS OF THE
EUROPEAN UNION




ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება(TFEU)

მე-16 მუხლი ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას განსაზღვრონ პერსონალური მონაცემების დაცვის წესები.

The European Parliament and the Council, acting in accordance with the ordinary legislative procedure, shall lay down the rules relating to the protection of individuals with regard to the processing of personal data by Union institutions, bodies, offices and agencies, and by the Member States when carrying out activities which fall within the scope of Union law, and the rules relating to the free movement of such data. Compliance with these rules shall be subject to the control of independent authorities.



პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა ევროკავშირში



GDPR- ის მოქმედების სფერო

EU-ში მონაცემთა დამმუშავებლებზე/უფლებამოსილ პირებზე



EU-ს ფარგლებს გარეთ არსებულ მონაცემთა დამმუშავებლებზე, რომლებიც:

სთავაზობენ მომსახურებას/პროდუქციას
ევროკავშირის რეზიდენტებს;

ახდენენ ევროკავშირის რეზიდენტების
ქცევის მონიტორინგს;

ძირითადი სიახლეები

ახალი პრინციპები -
ანგარიშვალდებულება,
გამჭვირვალობა

დამმუშავებელი
ორგანიზაციების
გაზრდილი
ვალდებულებები

გამდიერებული
უსაფრთხოება

ახალი უფლებები -
პორტაბელობა,
პროფილირებისგან
დაცვა

რისკების შეფასება - PIA

Privacy by design and by
default

ინციდენტის შესახებ
შეტყობინება - Data
breach Notification

DPO - მონაცემთა დაცვის
ოფიცერი

დავა სუბიექტის
საცხოვრებლის
მიხედვით

ჯარიმები -10 000 000/20
000 000 € ან წლიური
ბრუნვის 2/4%

მონაცემთა დაცვის
ევროპული საბჭო
(EDPB)
საზედამხედველო
ორგანოების საბჭო

ევროკავშირის
ფარგლებს გარეთ
მონაცემთა გადაცემის
რეჟიმები

საპოლიციო დირექტივა

ვრცელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოვლენის, გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის, სასჯელთა აღსრულების, ასევე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისაგან დაცვის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე (საპოლიციო მიზნები).

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ევროკავშირის მასშტაბით კომპეტენტურ ორგანოებს შორის პერსონალურ მონაცემთა გაცვლა არ შეიზღუდება ან აიკრძალება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის მიზნით.

Police Directive



ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია - მე-15 და მე-18 მუხლები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

სექტორული და საპროცესო კანონმდებლობა - მაგ: პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნორმატიული აქტები

პერსონალური მონაცემები



პირი იდენტიფიცირებადია,
როდესაც შესაძლებელია მისი
იდენტიფიცირება:

- პირდაპირ ან არაპირდაპირ

მაგალითად: საიდენტიფიკაციო
ნომრით, ფიზიკური,
ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური,
ეკონომიკური, კულტურული ან
სოციალური ნიშნებით.



დეპერსონალიზაცია

მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. დეპერსონალიზებული მონაცემი - პერსონალურ მონაცემს აღარ წარმოადგენს.

ევროპულ რეგულაციაში მსგავსი შინაარსით გამოიყენება ტერმინი **ანონიმიზაცია**.

ევროპულ რეგულაციაში ვხვდებით ასევე ტერმინს - **ფსევდონომიზაცია**. ეს არის მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელია პერსონალური მონაცემების დაკავშირება კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტთან და ეს დამატებითი ინფორმაცია შენახულია ცალკე და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მეშვეობით მონაცემების დაკავშირება არ ხდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან;



განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება

პოლიტიკური შეხედულებები

რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსი

პროფესიული კავშირის წევრობა

ჯანმრთელობის მდგომარეობა

სქესობრივი ცხოვრება

ნასამართლობა, ადმ. პატიმრობა, აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, საპროცესო შეთანხმების დადება, განრიდება, დანაშაულის მსხვერპლად აღიარება/დაზარალებულად ცნობა

ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემი



მონაცემების დამუშავება

პერსონალური მონაცემების მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება - შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ვიდეო აუდიო ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება, გადაცემა, გასაჯაროება, დაბლოკვა, წაშლა, განადგურება.

მონაცემთა დამუშავების ფორმები: ავტომატური, ნახევრად-ავტომატური, არა-ავტომატური - მონაცემთა ბაზაში შეტანის მიზნით.

მთავარი აქტორები

მონაცემთა დამმუშავებელი

ნებისმიერი საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც:

- › პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს დამოუკიდებლად ან უფლებამოსილი პირის საშუალებით;
- › ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებს და საშუალებებს;
- › უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

უფლებამოსილი პირი

ნებისმიერი საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მონაცემთა დამმუშავებლისათვის ან მისი სახელით.

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების ფარგლები განისაზღვრება:

- სამართლებრივი აქტით ან
- ხელშეკრულებით

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

I პრინციპი

სამართლიანობა და კანონიერება

! პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს პიროვნების ღირსების შეუღახავად.

II პრინციპი

მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.




III პრინციპი

ადეკვატურობა და პროპორციულობა

მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი.





IV პრინციპი

ნამდვილობა, სიზუსტე და განახლება

მონაცემები ნამდვილი და ზუსტი
უნდა იყოს და, საჭიროების
შემთხვევაში, უნდა განახლდეს.


კანონიერი საფუძვლის გარეშე
შეგროვებული და დამუშავების
მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა
დაიბლოკოს, წაიშალოს ან
განადგურდეს.



V პრინციპი

მონაცემთა შენახვის ვადა

მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.



მონაცემთა დამუშავების პრინციპები ევროპულ კანონმდებლობაში

- კანონიერება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა
- მიზნის შეზღუდვა
- მინიმიზაცია და პროპორციულობა
- სიზუსტე და ნამდვილობა
- შენახვის ვადა
- მონაცემთა უსაფრთხოება
- ანგარიშვალდებულება

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები - თანხმობა

- ინფორმირებული
- განსაზღვრული მიზნით გამოხატული
- ნების თავისუფალი გამოვლენა
- ფორმა - ზეპირად, წერილობით,
სატელეკომუნიკაციო ან სხვა საშუალებით
გამოხატული



თანხმობაზე უარი

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება.

მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.

მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძვლები

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).



განსაკუთრებული
კატეგორიის
მონაცემების
დამუშავების
საფუძვლები

ზოგადი წესი - განსაკუთრებული
კატეგორიის მონაცემების დამუშავება
აკრძალულია!

გამონაკლისები:

- სუბიექტის წერილობითი თანხმობა
- კანონით განსაზღვრული სპეციალური
შემთხვევები, კერძოდ:



გამონაკლისები (ნაწილი I)

- ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
- გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;
- დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;
- ე) მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან;



გამონაკლისები ნაწილი II

ვ) ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით;

ზ) მონაცემები მუშავდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით;

თ) მონაცემები მუშავდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;


ი) მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის;

კ) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით;

ლ) მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით.

დამატებითი აკრძალვა

კანონით მე-6 მუხლით განსაზღვრულ საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.





მონაცემთა დამმუშავებლისა
და უფლებამოსილი პირის
უფლება-მოვალეობები

მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება

თუ მონაცემთა შეგროვება ხორციელდება სუბიექტისგან, მას უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ვინაობა და მისამართი;
- მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – უარის სამართლებრივი შედეგები;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებები.

თუ მონაცემთა შეგროვება არ ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან:

მოთხოვნის შემთხვევაში მას მიეწოდება იგივე ინფორმაცია.

ინფორმაციის მიწოდება არ არის სავალდებულო თუ:

მონაცემთა სუბიექტს უკვე აქვს იგი ან

სტატისტიკური, სამეცნიერო და ისტორიული მიზნებით ინფორმაციის შეგროვებისას, ეს დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან.

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება

უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება დაამუშაოს სამართლებრივი აქტის ან დამმუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ითვალისწინებდეს კანონით დადგენილ წესებს, აკრძალვებს და მონაცემთა უსაფრთხოებისათვის ზომების მიღების ვალდებულებას.

დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ ნებისმიერი სხვა მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება.

დაუშვებელია, უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა დამუშავების უფლება სხვა პირს მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს.

მონაცემთა დამმუშავებელი უნდა დარწმუნდეს, რომ უფლებამოსილი პირი მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს. იგი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას.

უფლებამოსილ პირსა და დამმუშავებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს დამმუშავებელს მასთან არსებული მონაცემები.

სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების გაუქმების ან საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს და დამმუშავებული მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს დამმუშავებელს.

ვალდებულებები მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებით

მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით.

ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.

მონაცემთა უსაფრთხოება

- ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.
- ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა აუცილებელია.
- არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას სავალდებულოა მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.
- მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.
- დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, არ უნდა გასცდეს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.
- მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.



მონაცემთა უსაფრთხოება

მატერიალური დოკუმენტებისთვის

განთავსება, დაცვის ზომები

წვდომა

პასუხისმგებელი პირი

დოკუმენტების მოძრაობა

არქივირების წესი

ანონიმიზაციის წესები

განადგურების წესი

ელექტრონული მონაცემებისთვის

ლოგირება

განპიროვნებული მომხმარებლის სახელი და პაროლი

წვდომის მინიჭება და კონტროლი


სისტემები და დაცვის ზომები (ბაზა, Cloud, DLP, ანტივირუსი)

ინციდენტებზე რეაგირების სქემა

დეპერსონალიზაციის და ფსევდონიმიზაციის წესები

წაშლა/განადგურების წესი და პერიოდულობა

ახალი ვალდებულებები GDPR-ით



მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა შეგროვებისას სუბიექტის ინფორმირების უფლება

მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

მონაცემებზე გაცნობისა და მათი ასლების მიღების უფლება

მონაცემთა გასწორების, განახლების და შევსების უფლება

მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება

მონაცემთა დაბლოკვის უფლება

პორტირების უფლება

უფლებები პროფილირებისა და მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავების დროს

თანხმობის გამოხმობის უფლება


გასაჩივრების უფლება



მონაცემთა ტრანს-სასაზღვრო გადაცემა

GDPR -
ადეკვატურობის
გადაწყვეტილება
- პროცედურა

ევროპული კომისიის
წინადადება



```
graph TD; A[ევროპული კომისიის წინადადება] --> B[ევროპული მონაცემთა დაცვის საბჭოს მოსაზრება]; B --> C[EU-ს წევრების წარმომადგენლების დასტური]; C --> D[ევროპული კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება];
```

ევროპული მონაცემთა
დაცვის საბჭოს მოსაზრება

EU-ს წევრების
წარმომადგენლების დასტური

ევროპული კომისიის მიერ
გადაწყვეტილების მიღება

- EU or EEA Member country
- Adequate country
- Partially adequate country
- Authority and law(s)
- Data protection law(s)
- No specific law

Data Protection around the world


Choose a country in the map to display details ...




საქართველოს კანონმდებლობით მონაცემთა გადაცემა

ზოგადი წესი

დამუშავების
საფუძველი



მონაცემთა დაცვის
სათანადო გარანტიები



მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობას
აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს ინსპექტორი

მონაცემთა გადაცემის საფუძვლები

საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება

მონაცემთა დამმუშავებელსა და შესაბამის სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება.

მონაცემთა დამმუშავებელი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს და სუბიექტის უფლებების დაცვას

მონაცემთა გადაცემა შეიძლება მხოლოდ ინსპექტორის ნებართვის შემდეგ

ნებართვა

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიმართოს ინსპექტორს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაურთოს ხელშეკრულება და დამატებითი დოკუმენტაცია. ყველა დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტს უნდა ერთოდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

ინსპექტორის განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის ნებართვის მიცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფუნქციები პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა

კერძო და საჯარო ორგანიზაციების შემოწმება (ინსპექტირება)

კერძო და საჯარო ორგანიზაციებისთვის, ფიზიკური პირებისთვის
კონსულტაციის გაწევა

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ფარული საგამოძიებო მოქმედებების და უფლებამოსილი ორგანოს
მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლი

ინსპექტირებები

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა

ინსპექტორის
ინიციატივით

მოქალაქის განცხადების
საფუძველზე

ინსპექტირების შედეგად

მონაცემთა დამუშავების
შეწყვეტა

ინსტრუქციების და
რეკომენდაციების გაცემა

მონაცემთა დაბლოკვა და
წაშლა

გაფრთხილება/დაჯარიმება

განცხადების განხილვის/ინსპექტირების პროცესი

სამსახურს შეუძლია:

- მოითხოვოს ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა ან ადგილზე გაცნობა
- მოითხოვოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებები
- დააკვირდეს და შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ადგილზე შეამოწმოს მონაცემთა დამუშავების პროცესი
- ჩაატაროს ზეპირი განხილვა

მონაცემთა დამუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინსპექტორის სამსახურს ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიაწოდოს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან ამ დაწესებულებასთან ან ერთეულთან კონსულტაციას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიებასა და დამუშავებას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია მონაცემთა დამუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

სანქციების დაკისრება ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

პასუხისმგებლობის ზომა გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით, მაგალითად:

მუხლი 44. მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა

1. ამ კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით .
2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის, – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 45. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება

1. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით .
2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით .

სანქციები ევროკავშირში

	ETid-23	 FRANCE	2019-01-21	50,000,000	Google Inc.	Art. 13 GDPR, Art. 14 GDPR, Art. 6 GDPR, Art. 5 GDPR	Insufficient legal basis for data processing	link
	ETid-405	 GERMANY	2020-10-01	35,258,708	H&M Hennes & Mauritz Online Shop A.B. & Co. KG	Art. 5 GDPR, Art. 6 GDPR	Insufficient legal basis for data processing	link
	ETid-189	 ITALY	2020-01-15	27,800,000	TIM (telecommunications operator)	Art. 5 GDPR, Art. 6 GDPR, Art. 17 GDPR, Art. 21 GDPR, Art. 32 GDPR	Insufficient legal basis for data processing	link
	ETid-58	 UNITED KINGDOM	2020-10-16	22,046,000	British Airways	Art. 5 (1) f) GDPR, Art. 32 GDPR	Insufficient technical and organisational measures to ensure information security	link
	ETid-60	 UNITED KINGDOM	2020-10-30	20,450,000	Marriott International, Inc	Art. 32 GDPR	Insufficient technical and organisational measures to ensure information security	link
	ETid-336	 ITALY	2020-07-13	16,700,000	Wind Tre S.p.A.	Art. 5 GDPR, Art. 6 GDPR, Art. 12 GDPR, Art. 24 GDPR, Art. 25 GDPR	Insufficient legal basis for data processing	link
	ETid-438	 ITALY	2020-11-12	12,251,601	Vodafone Italia S.p.A.	Art. 5 (1), (2) GDPR, Art. 6 (1) GDPR, Art. 7 GDPR, Art. 15 (1) GDPR, Art. 16 GDPR, Art. 21 GDPR, Art. 24 GDPR, Art. 25 (1) GDPR, Art. 32 GDPR, Art. 33 GDPR	Non-compliance with general data processing principles	link
	ETid-519	 GERMANY	2021-01-08	10,400,000	notebooksbilliger.de	Art. 5 GDPR, Art. 6 GDPR	Insufficient legal basis for data processing	link

National Comprehensive Data Protection/Privacy Laws and Bills 2020

